



სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

მატჩი	ქუთაისის „ბაგრატი“ - მარნეულის „არმაზი“		
გუნდი	ქუთაისის „ბაგრატი“	შეჯიბრი	I ლიგა
მატჩის თარიღი	11/09/2021	მატჩის ადგილი	ქუთაისი, აია არენა.
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია		

დარღვევის აღწერა			
მოთამაშე/პიროვნება	ქუთაისის „ბაგრატი“ მოთამაშე	დაზარალების თარიღი	
სახელი, გვარი	გიგა ახალაძე (მატჩის განაცხადში # 20)		
მომჩივანი	კლუბ „არმაზი“-ს მენეჯერი ზურა პინაიშვილი	საჩივარი	<input checked="" type="checkbox"/> <input type="checkbox"/> მიღებულია უარყოფილია
დარღვევა	მოქმედი თამაშის წესებით მოთამაშეთა შეცვლის წესის დარღვევა. რაგბის თამაშის წესები 2018-19 გვ.19 3.33	წითელი ბარათი	<input type="checkbox"/> <input checked="" type="checkbox"/> <input type="checkbox"/> საითინგი სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	23/09/2021	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი, თბილისი, ჭ. ამირეჯიბის #6
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ირაკლი ჩიქავა, ვახტანგ სამხარაძე, ლევან ჩიკვაძე, ედუარდ ნაჭყებია.		
დამრღვევის დასწრება	<input checked="" type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა	სხვა დამსწრეები	<input checked="" type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა
დამრღვევის წარმომადგენელი	კლუბი ქუთაისის „ბაგრატი“	აღნიშნეთ ვინ	დავით იობიძე - კლუბის დირექტორი თენგიზ ტურმელაძე - კლუბის პრეზიდენტი
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	კლუბ „არმაზი“-ს მენეჯერის ზურა პინაიშვილის საითინგი.		



ფაქტობრივი გარემოებები და სხვა დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. კლუბ „არმაზი“-ს მენეჯერის ზურა პინაიშვილის საითინგი.
2. სრკ-ს მსაჯთა მართვის სამსახურის უფროსის დ.შუბითიძის წერილი (28/09/2021)
3. ქუთაისის „ბაგრატი“ - მარნეულის „არმაზი“-ს 11/09/2021 გამართული მატჩის ვიდეოჩანაწერი.
4. სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის ნიაზ მამრიკიშვილის მიმართვა.
4. სრკ-ს მოქმედი რაგბის თამაშის წესები 2018-19 .
5. „მსოფლიო რაგბის თამაშის წესები“-ს თარგმანის ავტორის ზაალ გიგინეიშვილის განმარტება.

დამრღვევის განცხადება

კლუბ ქუთაისის „ბაგრატი“-ს დირექტორი დავით იობიძე დაეთნხმა საჩივარს „თამაშის წესებით შეცვლის წესის დარღვევა“-ს და განმარტა, რომ შეცვლის წესის დარღვევა იყო უნებლიე და მალევე იქნა გამოსწორებული მატჩის მეთვალყურის მიერ.

ფაქტობრივი მოცემულობა I

1. 2021 წლის 11 სექტემბერს გაიმართა სრკ-ს მიერ ორგანიზებული საქართველოს პირველობის I ლიგის მატჩი ქუთაისის „ბაგრატი“-სა და მარნეულის „არმაზს“ შორის.
2. 2021 წლის 13 სექტემბერს მარნეულის „არმაზი“-ს მენეჯერმა ზურა პინაიშვილმა მიმართა სრკ-ს სადისციპლინო კომისიას საჩივრით (საითინგი), მიაწოდა მატჩის ვიდეოჩანაწერი და სთხოვა რეაგირება მოეხდინა მატჩის მეორე ნახევარში მე-18-19 წუთიდან დაფიქსირებულ სავარაუდო შეცვლის წესის დარღვევაზე, რომელმაც მისი განცხადებით გავლენა იქონია თამაშის შედეგზე.
3. 2021 წლის 23 სექტემბერს გამართულ სადისციპლინო კომისიის სხდომაზე კლუბ მარნეულის „არმაზი“-ს მენეჯერმა ზურა პინაიშვილმა განაცხადა, რომ ზემოაღნიშნული შეცვლის წესების დარღვევიდან გამომდინარე ქუთაისის „ბაგრატი“-ს მხრიდან განხორციელდა 9 შეცვლა, რაც მოთამაშეთა შეცვლის წესებს ეწინააღმდეგება და მოწინააღმდეგე გუნდს, თამაშის მეორე ტაიმის დარჩენილი 18-20 წუთი 14 მოთამაშით უნდა დაემთავრებინა.
4. 2021 წლის 23 სექტემბერს გამართულ სადისციპლინო კომისიის სხდომაზე ადგილი ჰქონდა ინციდენტს, კერძოდ : მარნეულის „არმაზი“-ს წარმომადგენლების გამოკითხვისას, ქუთაისის „ბაგრატი“-ს წარმომადგენლები, მიუხედავად გაფრთხილებისა არ შემოსულიყვნენ განხილვის ოთახში და დალოდებოდნენ მიწვევას, სიტყვიერად დაუპირისპირდნენ მარნეულის „არმაზი“-ს წარმომადგენლებს. ორმხრივმა ხმამაღალმა შელაპარაკებამ შეაყოვნა სადისციპლინო კომისიის სხდომის მსვლელობა რის გამოც სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარემ შენიშვნა მისცა ორივე მხარეს.



5. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 8.6 დ) პუნქტის მიხედვით სადისციპლინო კომისიამ მიმართა სრკ-ს მსაჯთა მართვის სამსახურს, სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტს და „მსოფლიო რაგბის თამაშის წესები“-ს თარგმანის ავტორს ზაალ გიგინეიშვილს კონსულტაციისთვის და მიიღო მათი განმარტებები. განმარტებები თან ერთვის სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილებას.

ფაქტობრივი მოცემულობა II

სრკ-ს სადისციპლინო კომისიამ დამატებით გამოარკვია:

- ✓ 2021 წლის 11 სექტემბერს გამართული I ლიგის მატჩის, (ქუთაისის „ბაგრატი“-სა და მარნეულის „არმაზს“ შორის) მეთვალყურემ ტარიელ მარგველაშვილმა ვერ შეასრულა სრკ-ს მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობები.
- ✓ 2021 წლის 11 სექტემბერს გამართულ I ლიგის მატჩზე, (ქუთაისის „ბაგრატი“-სა და მარნეულის „არმაზს“ შორის) კლუბ ქუთაისის „ბაგრატი“-ს დაარღვია სრკ-ს საშეჯიბრო დებულების მე-6 მუხლის 25-ე პუნქტი, რაზეც კლუბ ქუთაისის „ბაგრატი“-ს წარმომადგენელმა დავით იობიძემ განმარტა, რომ დაგვიანებით გაიგო პირველი ტურის გამართვის თარიღი და ვერ მოახერხა გუნდისთვის შეკვეთილი სათამაშო ფორმების სამკერვალოდან დროულად გამოტანა.

გადაწყვეტილება

1. სრკ-ს სადისციპლინო კომისიამ სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 2.6, 5.8, 8.6 დ), პუნქტებით და სადისციპლინო რეგულაციის დანართი #2-ის მიხედვით, ფაქტობრივი მოცემულობების განხილვის, სხდომაზე დამსწრე პიროვნებების განცხადებების მოსმენის, სრკ-ს მსაჯთა მართვის სამსახურის, სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტისა და „მსოფლიო რაგბის თამაშის წესები“-ს თარგმანის ავტორის ზაალ გიგინეიშვილის წერილობითი განმარტებების შემდეგ დაადგინა:

ა) 2021 წლის 11 სექტემბერს გამართული I ლიგის მატჩის, ქუთაისის „ბაგრატი“-სა და მარნეულის „არმაზს“ შორის, ქუთაისის „ბაგრატი“-ს მხრიდან მატჩის მეორე ნახევრის ვიდეოჩანაწერის 18-19 წუთიდან ადგილი ჰქონდა მოთამაშეთა შეცვლის წესის (რაგბის თამაშის წესები 2018-19 | გვ.19 | პუნქტი 3.33) დარღვევას.

აღნიშნული დარღვევის გამო, კლუბი ქუთაისის „ბაგრატი“ დაჯარიმდეს 1000 (ათასი) ლარით და ჯარიმის გადახდის ვადა განესაზღვროს სრკ-ს სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილების გამოტანიდან 30 კალენდარული დღე.

ბ) მატჩის მეორე ნახევრის ვიდეოჩანაწერის 18-19 წუთიდან მოთამაშეთა შეცვლის წესის დარღვევით თამაშში ჩართულმა ქუთაისის „ბაგრატი“-ს მოთამაშემ გიგა ახალაძემ (მატჩის განაცხადში # 20) სათამაშო მოედანზე დაჰყო დაახლოებით 3 წუთი (რის შემდეგაც გამოყვანილი იქნა თამაშიდან მატჩის მეთვალყურის მიერ). ამ დროის განმავლობაში მატჩის ანგარიში არ შეცვლილა ქუთაისის „ბაგრატი“-ს სასარგებლოდ და გიგა ახალაძის აქტივობას არ მოუხდენია რაიმე მნიშვნელოვანი ზეგავლენა, რასაც შეეძლო ემოქმედა თამაშის საბოლოო შედეგზე.



გ) კლუბ მარნეულის „არმაზი“-ს მენეჯერის ზურა პინაიშვილის განცხადება, იმის შესახებ რომ, ქუთაისის „ბაგრატი“-ს მხრიდან მოთამაშეთა შეცვლის წესების დარღვევამ გამოიწვია მე-9 ცვლილების განხორციელება (რისი უფლებაც არ ქონდა ქუთაისის „ბაგრატი“) და აღნიშნული ცვლილების შემდეგომ ქუთაისის „ბაგრატი“ უნდა დარჩენილიყო კაცნაკლულად (14 მოთამაშე), კლუბმა „არმაზმა“ დაკარგა პრივილეგია, რასაც შეემლო გავლენა მოეხდინა თამაშის საბოლოო შედეგზე, სრკ-ს მსაჯთა მართვის სამსახურის, ზაალ გიგინეიშვილს განმარტების და სრკ-ს მოქმედი რაგბის თამაშის წესების (2018-19 წ. რედაქცია) 3.4 პუნქტის მიხედვით, ჩაითვალოს უსაფუძვლოდ.

კლუბ მარნეულის „არმაზს“ განემარტოს: რაგბის თამაშის წესები არ ადგენს შეცვლების რაოდენობას, რაგბის თამაშის წესები ადგენს მხოლოდ შემცვლელთა (სათადარიგოთა) რაოდენობას.

2. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 5.17 პუნქტის დარღვევის გამო, რაც გამოიხატა 2021 წლის 23 სექტემბერს გამართულ სადისციპლინო კომისიის სხდომაზე ქუთაისის „ბაგრატი“-სა და მარნეულის „არმაზი“-ს წარმომადგენლების უდისციპლინობით - **კლუბ ქუთაისის „ბაგრატი“-ს წარმომადგენლებს - დავით იობიძეს, თენგიზ ტურძელაძეს და კლუბ მარნეულის „არმაზი“-ს წარმომადგენლებს - გიორგი სოსელიას, ზურა პინაიშვილს მიეცეთ გაფრთხილება.**

3. სრკ-ს სადისციპლინო კომისიამ - 2021 წლის 11 სექტემბერს გამართულ I ლიგის მატჩზე, (ქუთაისის „ბაგრატი“-სა და მარნეულის „არმაზს“ შორის) მატჩის მეთვალყურის (ტარიელ მარგველაშვილი) მხრიდან, სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 5.16 პუნქტის დარღვევის გამო, რაც გამოიხატა მეთვალყურის მხრიდან სრკ-ს მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულებაში, კერძოდ, მეთვალყურემ, მატჩზე, ვერ უზრუნველყო მოთამაშეთა შეცვლების კონტროლი, იხელმძღვანელა სადისციპლინო რეგულაციის დანართი #2-ის მიხედვით და მიიღო გადაწყვეტილება :

მატჩის მეთვალყურეს ტარიელ მარგველაშვილს მიეცეს გაფრთხილება.

4. სრკ-ს სადისციპლინო კომისიამ - 2021 წლის 11 სექტემბერს გამართულ I ლიგის მატჩზე, (ქუთაისის „ბაგრატი“-სა და მარნეულის „არმაზს“ შორის) ქუთაისის „ბაგრატი“-ს მხრიდან საშეჯიბრო დებულების მე-6 მუხლის 25 პუნქტის დარღვევის გამო, რაც გამოიხატა მოთამაშეთა მისურების არასწორი ნუმერაციით, სადისციპლინო კომისისამ იხელმძღვანელა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 5.8 პუნქტის მიხედვით და მიიღო გადაწყვეტილება :

კლუბი ქუთაისის „ბაგრატი“ დაჯარიმდეს 200(ორასი) ლარით და ჯარიმის გადახდის ვადა განესაზღვროს სრკ-ს სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილების გამოტანიდან 30 კალენდარული დღე.

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი 	თარიღი	30 სექტემბერი 2021 წ.
--------------------------	-------------------------	--------	-----------------------

გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72(სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.

სრკ-ს სადისციპლინო ტრიბუნალის თავმჯდომარეს

მირიან თავზარაშვილს

საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის

ნიაზ მამრიკიშვილის

მ ი მ ა რ თ ვ ა


მოაგხსენებთ საკუთარ მოსაზრებას ა/წ 11 სექტებერს ქ. ქუთაისში გამართული მატჩის თაობაზე, ადგილობრივ „ბაგრატსა“ და მარნეულის „არმაზს“ შორის.

თქვენი მომართვის პირველ კითხვაზე, ქონდა თუ არა მეორეხაზელ გიგა ახალაძეს, რომელიც მატჩის მეორე ნახევრის დასაწყისში შეცვალეს და გარკვეული ხნის შემდეგ მოედანზე უკუცვლილებით დააბრუნეს, ამის უფლება, შემიძლია ერთმნისვნილოვნად გიპასუხო - ამის უფლება „ბაგრატს“ არ ჰქონდა.

რაც შეეხება, წერილში მოყვანილ მეორე კითხვას, უნდა დაემთავრებინა „ბაგრატს“ თამაშის დარჩენილი დრო 14 მორაგბის ამარა თუ არა, ჩემი აზრით, ჩემზე გაცილებით კვალიფიცირებულ პასუხს მიიღებთ, თუ ანალოგიური კითხვით მსაჯთა კომიტეტს მიმართავთ.

პატივისცემით,

ნიაზ მამრიკიშვილი



28.09.2021

ზაალ გიგინეიშვილის განმარტება

ვიდეო ჩანაწერის [<https://www.youtube.com/watch?v=go5ORcrWLc8>] განხილვითა დამატების ოქმის [http://vue.ge/2021-2022/SKANI/1_PIR/PIR_2021-09-11_BGR-AMZ.pdf] გაცნობით დავადგინეთ შემდეგი:

(1) მეორე ტაიმის დასაწყისში ბაგრატმა შეცვალა მეორე ხაზელი #20 გიგა ახალაძე სათადარიგოთი – #4 შაკო კიკვაძით

(2) მეორე ტაიმის შუაში ბაგრატმა დაშავებული მეორე ხაზელის #5 კოტე ძაგნიძის ნაცვლად შეიყვანა შეცვლილი #20 გიგა ახალაძე, რისი უფლებაც არ ჰქონდა 3.33 მუხლის თანახმად [რაგბის წესები 2018-19 | გვ.19 | http://vue.ge/MARADI/2018_TESEBI_MTVANE-TIGNI.pdf]

(3) მატჩის მეთვალყურემ ეს დარღვევა მალევე შენიშნა და უსწორო შეცვლა გამოასწორა: ბაგრატს გამოაყვანინა #20 ახალაძე, მისი კვართი (მაისური) კი გადაიცვა სხვა სათადარიგომ – პაპუნა შავგულიძემ და დაიკავა დაშავებული #5 ძაგნიძის ადგილი

(4) ამის შემდეგ ბაგრატმა განახორციელა მორიგი შეცვლა – #23 გიორგი ფხაკაძის ნაცვლად შეიყვანა ზვიად ოდიშარია, ვისაც ოდნავ სხვა დიზაინის #10 კვართი ეცვა, ბაგრატის მეტოქის – არმაზის საჩივრის გამო უნდა ითქვას შემდეგი:

(ა) უდავოა ბაგრატის მიერ შეცვლის წესების ერთხელ დარღვევა, მაგრამ ეს მალევე შენიშნა მეთვალყურემ და გამოასწორა

(ბ) თუ რამდენად იმოქმედა ამ დარღვევამ მატჩის მიმდინარეობასა და შედეგზე, შეიძლება შეფასდეს ვიდეო ჩანაწერით – ამ მცირე ხნის მანძილზე #20 ახალაძე რამდენად აქტიური იყო, და შეიცვალა თუ არა ანგარიში

(გ) არმაზის მტკიცება, რომ ბაგრატმა დაარღვია შეცვლათა ლიმიტი – რვა – უსაფუძვლოა:

(i) ახლანდელ წესებში ეგეთი ლიმიტი აღარ არსებობს – მოთამაშეთა უსაფრთხოებისთვის შეცვლები რაოდენობრივად შეუზღუდავია: რამდენიც საჭირო იქნება, იმდენი შეცვლა უნდა გაკეთდეს, ოღონდაც წესების დაცვით. ხელით შესავსებ ოქმში სწორედ მაგიტომმა გამოყოფილი შეცვლათა ჩასაწერად ბევრი [19] სტრიქონი, ზემოთხსენებული რვა კი სათადარიგოთა მაქსიმუმია [მუხლები 3.4-5 | გვ.15] და არა – შეცვლებისა

(ii) წესებში არც ის წერია, რომ შეცვლის წესების ერთხელ დარღვევის გამო გუნდს ეკრძალება მომდევნო შეცვლების კეთება – რის გამოც უსაფუძვლოა იმის მოთხოვნა, რომ ბაგრატს თამაში კაცნაკლულს უნდა გაეგრძელებინა დასკვნა:

ახალი სადისციპლინო კოდექსის შესაბამისად, ბაგრატი დასასჯელია მხოლოდ შეცვლის წესების ერთხელ დარღვევისთვის – თუ რანაირად, ეგ უნდა გადაწყდეს მატჩის შედეგზე მაგ დარღვევის გავლენის შეფასებით.

28 სექტემბერი 2021 წ

სრკ-ს სადისციპლინო ტრიბუნალის თავმჯდომარეს

ბ-ნ მირიან თავზარაშვილის

თქვენს მიერ მოწერილ მომართვაზე გასაუხობთ, რომ ბაგრატს ჰქონდა უფლება თამაში 15 კაცით დაემთავრებინა. ასევე გავეცანით ბ-ნ ზაალ გიგინეიშვილის დასკვნას და მიგვაჩნია, რომ წესებთან მიმართებაში გაკეთებული განმარტებები ზუსტად და ამომწურავად აქვს წარმოდგენილი.

პატივისცემით, მსაჯთა მართვის სამსახურის უფროსი

დ.მუბითიძე

